

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთში რძისა და რძის პროდუქტების წარმოება

1 შესავალი

კვლევა ხორციელდებოდა 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის ივნისამდე პრადის, ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებების ჩეხეთის უნივერსიტეტის (ტროპიკული აგრომეცნიერებების ფაკულტეტი), საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციის - „People in Need“-ის და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ერთობლივი თანამშრომლობით. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს რეგიონში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ნაწილს.

კვლევის მიზანია საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება და ანალიზი პროექტის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად. პროექტი მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ხორციელდება ”ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში” (ENPARD GEORGIA)-ს ფინანსური მხარდაჭერით.

2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითმა ჯგუფმა იხელმძღვანელა მიდგომით, რომლიც იძლევა ერთდროულად რამდენიმე საკითხის შესწავლის შესაძლებლობას. სხვადასხვა სპეციფიკური საკითხის შესაფასებლად განხორციელდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ტრიანგულაცია. მას შემდეგ, რაც გამოვლინდა განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადგილობრივი რვა სექტორი, (ადგილობრივი ექსპერტებისა და ოფიციალურ პირებთან გამოკითხვის შედეგად), განხორციელდა შერჩეული სექტორების დეტალური კვლევა.

კვლევის მიზნებიდან და პროექტის დაფარვის ზონოდან გამომდინარე შეირჩა ქვემოთ ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტები, სადაც მეტნაკლებად გავრცელებულია რძისა და რძის პროდუქტების წარმოება:

- ხონი
- თერჯოლა
- ბაღდათი
- ხარაგაული
- ონი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:


- 2013 წლის ივლისი - წარმოების სისტემები რვა ძირითადი პროდუქტისათვის იმერეთის 11 მუნიციპალიტეტში;
- 2013 წლის აგვისტო - ბაზრის კვლევა და წარმოების სისტემების ანალიზი პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში;
- 2013 წლის ნოემბერი - პირველი პროდუქტისთვის საპილოტე მონაცემების შეგროვება;
- 2014 წლის მარტი-ივნისი - დანარჩენი პროდუქტებისთვის მონაცემების შეგროვება.

ანალიზისთვის ძირითადად გამოყენებული იქნა ფერმერთა ჯგუფის და ინფორმირებული პირების თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. კვლევის დიზაინი მიზნად ისახავდა სამიზნე ჯგუფების კონკრეტულ საკითხებთან და თემებთან მიმართებაში ქცევისა და აღქმის შვალის გამოვლენას. ნახევრადსტრუქტურული, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი გამოყენებულ იქნა როგორც ძირითადი თვისებრივი კვლევის მეთოდი. ინტერვიუები ჩატარდა ისეთ პირებთან, რომლებიც გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით უშუალოდ ფლობდნენ ინფორმაციასა და ცოდნას. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 1,5-დან 2 საათამდე. რესპოდენტთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ღირებულებათა მთლიანი ჯაჭვი - დაწყებული მიმწოდებლებით, დამთავრებული ადგილობრივი ბაზრით. შედეგად დღის წესიგში დადგა ისეთი რესპოდენტების იდენტიფიცირება და ინტერვიუების წარმოება, როგორებიცაა არიან: სხვადასხვა ზომის ფერმერები, შემგროვებლები, შუამავლები, გადამამუშავებლები, ადგილობრივ ბაზარზე მოვაჭრე გამყიდველები, ექსპორტიორები, ასევე, აგრო-სამრეწველო მაღაზიები, რომლებიც ყიდიან თესვს, ნერგებს, სხვადასხვა სახეობის სამუშაო იარაღს, ტექნიკას, პესტიციდებს, ჰერბიციდებს, სასუქებს და სხვა ნაწარმს.

რძის და რძის პროდუქტების შესახებ სავსე მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ინტრუმენტები:

- ფოკუს-ჯგუფები რძის მწარმოებელ ფერმერებთან;
- ინტერვიუები რძის მწარმოებელ ფერმერებთან;
- ინტერვიუები სამეურნეო ნაწარმის და საკვები პროდუქტების მიმწოდებლებთან;
- ადგილობრივი ბაზრის შესწავლა.

სურათი 1. მონაცემების შეგროვების წერტილების რუკა



თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევა ნაწილობრივ რეპრეზენტატიულია, ასახავს ზოგად სურათს და იძლევა მომაცემებს ყველაზე მეტი სიხშირით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. მეორადი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები კი ემყარება სხვადასხვა არსებული და ხელმისაწვდომი კვლევების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს

სახელმწიფოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების - FAO-სა და EU-ს მიერ წარმოებულ კვლევებს და აშ.

3 რძის და რძის პროდუქტების წარმოება, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი

მერძევეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს და ტრადიციულ დარგს წარმოადგენს როგორც იმერეთისა და რაჭის რეგიონებისათვის, ისე მთლიანად საქართველოსათვის.


მსოფლიოს მასშტაბით საშუალოდ 150 მილიონი საოჯახო მეურნეობა არის ჩართული რძის წარმოების პროცესში. განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში რძე და რძის პროდუქტები იწარმოება მცირე საოჯახო მეურნეობების მიერ, რაც მათ საკვებით უზრუნველყოფთ. ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებად ქვეყნებში წარმოებული რძისა და რძის პროდუქტების პროცენტული წილი მსოფლიო რძის წარმოებაში შესამჩნევად გაიზარდა, რაც ამ ქვეყნებში ცოცხალი პირუტყვის რაოდენობის ზრდამ განაპირობა. ბევრ განვითარებად ქვეყანაში რძის მწარმოებლობის დაბალი დონე განპირობებულია პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის დაბალი დონით, დაავადებებით და საჭირო სერვისებზე არასათანადო წვდომით. განვითარებადი სამყაროს ისეთ ქვეყნებში როგორც საქართველოა, რძის წარმოების დიდი ტრადიცია არსებობს. რძეს და რძის პროდუქტებს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსახლეობის ყოველდღიურ რაციონში.

ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე მსოფლიოში რძის და რძის პროდუქტების წარმოება საშუალოდ 50%-ით გაიზარდა. 1982 წელს მსოფლიოში რძის წარმოება 482 მილიონ ტონას შეადგენდა ხოლო 2012 წლისთვის კი 754 მილიონი ტონა შეადგინა. მსოფლიოში რძის წარმოების 16%-ით ინდოეთი ლიდერობს, მას მოსდევს ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, პაკისტანი და ბრაზილია. ამასთან რძის ყველაზე მაღალი დეფიციტი ჩინეთში ფიქსირდება, რომელსაც მოსდევს იტალია, რუსეთი, მექსიკა, ალჟირი და ინდონეზია.

საქსტატის მონაცემებით 2013 წელს ქვეყანაში წარმოებულ იქნა 604,7 მილიონი ტონა რძე. რძის წარმოების ხვედრითმაწილმა მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ)დაახლოებით 2% შეადგენა.

ბოლო წლებში იზრდება ქვეყანაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა. ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება რძის წარმოებაც, თუმცა შედარებით მცირე მასშტაბით.


დიაგრამა 1. ფურისა და ფურკამეჩის სულადობა და რძის წარმოება საქართველოში¹



საქსტატის ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2012 წელს ქვეყანაში წარმოებული რძის თითქმის 99% მიღებული იქნა ფურისა და ფურკამეჩისაგან, ხოლო დანარჩენი 1% ცხვრისა და თხისაგან. შესაბამისად წინამდებარე კვლევა ფოკუსირებულია სწორედ ფურისა და ფურკამეჩის რძის წარმოებაზე.

ოფიციალური მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში ყველაზე მეტი რძე – 129,7 მილიონი ლიტრი იმერეთში იქნა წარმოებული, რაც მთლიანი მოცულობის 22 %-ია. აღსანიშნავია, რომ 2007 წელთან შედარებით 2013 წლისათვის რძის წარმოების ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ 3 რეგიონში, კერძოდ კი: კახეთი (33%); იმერეთსა (6%) და სამეგრელოში (10%). დანარჩენ რეგიონებში კი მცირედი კლება დაფიქსირდა.


დიაგრამა 2. რძის წარმოება საქართველოში რეგიონების მიხედვით²



¹ Agriculture of Georgia, National statistics office of Georgia, 2013


² National statistics office of Georgia, <http://geostat.ge>

დიაგრამა 3. რძის წარმოების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2013 წელი³



მცირედ მაგრამ, მაინც კლებით ხასიათდება რძისა და რძის პროდუქტების სასურსათო მოხმარების დონე ქვეყანაში ბოლო წლებში როგორც მთლიანად ასევე 1 სულ მოსახლეზე. ამასთან, ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანაში რძისა და რძის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი სტაბილურად მაღალია და 92-93%-ის ფარგლებში მერყეობს.

დიაგრამა 4. რძისა და რძის პროდუქტების მოხმარება საქართველოში (ათასი ტონა)⁴



ოფიცალური მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში წარმოებული რძის 99,7% ოჯახურ მერუნებებზე მოდის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე კი შესაბამისად 0,3%. ამასთან შინამეურნეობები ძირითადად ან პირდაპირ ყიღინ რძეს ან აწარმოებენ მხოლოდ

³ National statistics office of Georgia, <http://geostat.ge>


⁴ National statistics office of Georgia, <http://geostat.ge>

ყველს. არსებული კონტექსტის გათვალისწინებით კვლევა ფოკუსირებულია რძის და ყველის მიმართულებებზე.

4 მერძეეობის ღირებულებათა ჯაჭვი


4.1 საწარმოო სისტემები

იმერეთისა და რაჭის რეგიონებში საოჯახო მეურნეობების აბსოლუტური უმეტესობა ტრადიციულად ეწევა მესაქონლეობას. ისინი აწარმოებენ რძის პროდუქტებს და ხორცს, თუმცა მესაქონლეობიდან მიღებულ შემოსავლებში ხვედრითი წილის მიხედვით, მათთვის ძირითადი მაინც არის მერძეეობა. ოფიციალური მონაცემებით, 2013 წელს იმერეთის რეგიონში 106 500 სული საქონლი იყო, რაც მთლიანი ქვეყნის მაჩვენებლის 16%-ია. აქვე უნდა აღინიშნოს რომ რაჭის რეგიონისათვის მერძეეობასთან დაკავშირებული ოფიციალური მონაცემები არაა ხელმისაწვდომი ძალიან დაბალი მაჩვენებლების გამო. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანასა და იმერეთშიც საქონლის სულადობის მცირედი ზრდა ფიქსირდება. იმერეთის რეგიონში 2007 წელთან შედარებით აღწმული მაჩვენებელი 2013 წლისათვის 12%-ით გაიზარდა. 2013 წელს იმერეთი რეგიონში იწარმოა 129,7 მლნ ლიტრი რძე, რომელიც ქვეყანაში მთლიანი წარმოების 22%-ს შეადგენს.



სურათი 2. ფერმის შენობა

დიაგრამა 5. რძისა და რძის პროდუქტების წარსულსა და მოსალოდნელი წარმოების



ზემოთ აღნიშნულ ორივე რეგიონში, თითქმის ყველა საოჯახო მეურნეობას⁵ ყავს 1-დან 10-მდე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთაგან მიღებული რძისა და რძის

⁵ National statistics office of Georgia, <http://geostat.ge>

პროდუქტების დაახლოებით ნახევარი გამოიყენება საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო მეორე ნახევარი – გასაყიდად. ცალკეულ შემთხვევებში, ოჯახების ბაზაზე შექმნილია საოჯახო ფერმერული მეურნეობები⁶, რომლებიც ფლობენ 10-დან 100 სულამდე პირუტყვს და წარმოებული პროდუქცია თითქმის სრულად განკუთვნილია სარეალიზაციოდ. სამიზნე რეგიონებში ფუნქციონირებს მესაქონლეობის რამდენიმე მსხვილი ფერმერული მეურნეობა - სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომლებიც შექმნილია უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციით და მათში პირუტყვის რაოდენობა რამდენიმე ასეულია. წვრილი საოჯახო მეურნეობები, საოჯახო ფერმერული მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ძირითადად დაკავებული არიან რძის წარმოებით, თუმცა ნამეტის ხარჯზე როგორც წესი ხდება ასაკოვანი, ან დაბალპროდუქტიული პირუტყვის ჩანაცვლება და მათი გამოყენება სახორცედ.

საველე კვლევითი და ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის და შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ იმერეთის რეგიონში წარმოებული რძისა და ყველის 70% წარმოებულია საოჯახო ფერმერულ მეურნეობებში, ხოლო 30% სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, თუმცა ბაზრისათვის მიწოდებული რძისა და მისი ნაწარმის მხოლოდ ნახევარი არის წარმოებული საოჯახო მეურნეობებში.

წვრილ ფერმერულ მეურნეობებში გავრცელებულია ცხოველის შენახვის ექსტენსიური სისტემა, რომლის დროსაც მეცხოველეობის ყველა სამუშაო სრულდება ხელით, პრიმიტიული იარაღების გამოყენებით. წარმოების პროცესი გამოირჩევა პრიმიტიულობით და უმთავრესად ბუნების მიერ ნაბოძებ რესურსებს იყენებენ. ზამთრობით პირუტყვს მწირი და ერთგვაროვანი საკვები ეძლევა (წვნიანი და კონცენტრირებულის გარეშე).

პირუტყვის სადგომად გამოიყენება როგორც ხის ასევე კაპიტალური ნაგებობები. იმერეთში და რაჭაში საოჯახო მეურნეობები უმეტესწილად ხის ნაგებობას იყენებს, რომლის აგება შედარებით ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს თუმცა ექსპლოატაციის ვადა გაცილებით ნაკლებია. ხის შენობის შემთხვევაში მიზანშეწონილია მისი დათბუნება ბიკროსტით (ტოლი), რათა ზამთრის პირობებში დაცული იქნეს ტემპერატურული რეჟიმი, სასურველია 15-18 გრადუსი ცელსიუსით. ზაფხულში კი მიზანშეწონილია ხდებოდეს შენობის ვენტილაცია. ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ 30 სულზე გათვლილი კაპიტალური შენობის (ადჭურვილობის გარეშე) მშენებლობის ხარჯი დაახლოებით 8-10 ათასი ლარი არის (4-5 000 აშშ დოლარი). ხოლო ანალოგიური ხის ნაგებობის აგების ღირებულება არის დაახლოებით 3,5-4 ათასი ლარი (1500-2000 აშშ. დოლარი)

4.2 პროდუქტიულობა

საქონლის სულადობა მსოფლიოში დახლოებით 1307 მლნ-ს აღემატება, ჭარბობს სარძევე მიმართულების პროდუქტი. სარძევე მიმართულების ქვეყნებიდან ერთ ფურზე საშუალო წველადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ისრაელი – საშუალოდ 9105 კგ,

⁶ საოჯახო მეურნეობა - მეურნეობა, რომელიც უმეტესწილად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებს პროდუქტს და მხოლოდ ნამეტი გააქვს ბაზარზე.

⁷ საოჯახო ფერმერული მეურნეობა - მეურნეობა, რომელიც არსებობს ოჯახის ბაზაზე, თუმცა წარმოებული პროდუქტის დიდი ნაწილი განკუთვნილია გასაყიდად და არა საკუთარი მოხმარებისათვის.

აშშ 7464 კგ და ა. შ. მოწინავე ქვეყნებში საშუალო წლიური წველადობა ერთ სულზე აღემატება 6000 კგ-ს, ანუ დღეში 20 კგ-ზე მეტს.

ცხრილი 1. საქონლის წველადობა განვითარებული ქვეყნებში ჯიშების მიხედვით⁸

ჯიში	კგ/რძე	ცხიმი %	ცილა %
ჰოლშტინი	12700	3.1	3.2
შვეიცარიული წაბლა	9525	4	3.5
ჯერსი	7260	4.9	3.7
მილკინგ შორთორნი	6990	3.8	3.3
გერენსი	6350	4.5	3.5

აღნიშნული ჯიშებიდან საქართველოში, მათ შორის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში გავრცელებულია ჰოლშტეინის და შვეიცური წაბლას ჯიშები. საგულისხმოა, რომ მათი პროდუქტიულობა მნიშვნელოვანად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებში იგივე ჯიშების მაჩვენებლებს. შვეიცური წაბლას წლიური წველადობა საქართველოში მხოლოდ 3600 კგ-ა, რაც ანალოგიური ჯიშის იგივე მაჩვენებლის მხოლოდ 37%-ია.

წველადობის (ანუ ლაქტაციის პერიოდი) ხბოს მოგებისას იწყება და საუკეთესო შემთხვევაში 305 დღეს გრძელდება, შემდეგ იწყება 60 დღიანი მშრალობის პერიოდი, რომლის დროს ფურის ორგანიზმი ახალი ხბოს მოგებისა და ლაქტაციისათვის ემზადება. საქართველოში კი წველადობის პერიოდი არაეფექტური ჯიშების არსებობისა და მოვლის სათანადო პირობების არ არსებობის გამო, მნიშვნელოვნად ნაკლებია და გრძელდება 7-დან 9 თვემდე.

ფურის წველადობაზე ჯიშობრივის გარდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოვლის პირობები. არასრულაფასოვანი კვება 2-3 ჯერ ამცირებს წველადობას. გარდა ამისა, საჭიროა საძროხეში ოპტიმალური მიკროკლიმატის დაცვა: ჰაერის ტემპერატურა 15-18 გრადუსი, შეაფრდებითი ტენიანობა 75%, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე ზამთარში 0,5 მ/წამში, ნახშირორჟანგის კონცენტრაცია არაუმეტეს 0,25%-სა და სხვა. ამ ნორმატივების დარღვევა განსაკუთრებით მაღალპროდუქტიულ ცხოველებზე მოქმედებს.

მსოფლიოში ცნობილია საქონლის 1000-ზე მეტი სხვადასხვა ჯიში. მათ ყოფენ: სარძეო, სახორცე და კომბინირებული (სარძეო-სახორცე და სახორცე-სარძეო) მიმართულების ჯიშებად. საქართველოში საბჭოთა პერიოდში გავრცელებული იყო შემდეგი სახეობები: ქართული მთის ძროხა; კავკასიური წაბლა; ჰოლშტეინი, ველის წითელი ჯიში, მეგრული ჯიშის ძროხა. დღევანდელ დღეს კი რაჭაში არსებულის ფერმის გარდა (ყავთ შვეიცური წაბლას ჯიშის საქონელი), მეურნეობებში არ გვხვდება რომელიმე ჯიშის საქონელი, ბუნებრივი გზით შეჯვარების შედეგად ქაოტურად მრავლდებიან. შესაბამისად რაიმე ჯიშობრივ სტრუქტურაზე საუბრიც კი ზედმეტია.

რაც შეეხება შვეიცური წაბლას ეს ჯიში დაახლოებით 1000 წლის წინ, შვეიცარიის მთებშია გამოყვანილი. ის სარძეო-სახორცე მიმართულებისაა და წაბლა ფერით ხასიათდება, აქვს

⁸ <http://www.raw-milk-facts.com/>


მაგარი პროპორციული აგებულება და აკლიმატიზაციის კარგი უნარი. მაღალი პროდუქტიულობის გამო ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული, სადაც მისი მონაწილობით გამოყენილია ახალი ჯიშები. ხარის ცოცხალი მასა 900 კგ, ფურისა 550 კგ, წველადობა 3600 კგ, ცხიმთანობა 3,6 %, რიგ ქვეყნებში ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დიდია.

იმერეთისა და რაჭის რეგიონებში, რამდენიმე მსხვილი ფერმერული მეურნეობების გარდა, საოჯახო მეურნეობებში ძირითადად გავრცელებულია დაბალპროდუქტიული სახეობები, რომელთა გამრავლება ხდება არა ხელოვნურად არამედ ბუნებრივად (უკონტროლოდ) რაც კიდევ უფრო ამცირებს მათ პროდუქტიულობას, რაზედაც ასევე უარყოფითად მოქმედებს კვების ნორმების დაუცველობა და მოვლის არასათანადო პირობები.

ქვეყანაში რძის მიღების პიკი არის ზაფხულში, კერძოდ: მაისი, ივნისი, ივლისი, როცა მაქსიმალური ოდენობის რძე მიიღება, ხოლო ზამთრის პერიოდში: დეკემბერი, იანვარი, თებერვალში კი პირიქით ყველაზე მცირე რაოდენობით იწარმოება. ექსპერტული შეფასებით, ზამთრის პერიოდში რძის წარმოების მოცულობა დაახლოებით 30–35 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ზაფხულში.

საქართველოს მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი ფურების წველადობა მწირი კვებისა და ჯიშური სიჭრელის გამო ძალიან დაბალია. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში (ცალკეულ, მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებში) გვხვდება გაცილებით უკეთესი მაჩვენებლებიც. ქვეყანაში საშუალო წველადობა ერთ სულ პირუტყვზე წელიწადში საქსტატის ოფიციალური მონაცემებით 1302 ლიტრს შეადგენს, რასაც საშუალოდ 205 ლიტრით აღემატება იმერეთის რეგიონის ანალოგიური მონაცემი და 1507 ლიტრს აღწევს.

დიაგრამა 6. 2013 წელს ფურისა და ფურკამეჩის საშუალო წველადობა რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)⁹



⁹ National statistics office of Georgia, <http://geostat.ge>


4.3 რძის და რძის პროდუქტების ღირებულებითა ჯაჭვი იმერეთის რეგიონისათვის

კვლევამ აჩვენა, რომ საოჯახო მეურნეობები მიერ წარმოებული რძის 85% გამოიყენება ყველის დასამზადებლად, დანარჩენი 15%-ის უმეტეს ნაწილს კი თავად საოჯახო მეურნეობები მოიხმარენ. რძის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გაიტანება ბაზარზე, ისიც ძირითადად იმ მწარმოებელთა მიერ, რომლებიც ტერიტორიულად ახლოს არიან რეგიონში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებთან. რძის ნატურალური სახით რეალიზაციის სიმცირე, გამოწვეულია მისი მალფუჭებადობით, რადგან მცირე საოჯახო მეურნეობებს არ აქვთ წვდომა რძის შენახვის თანამედროვე საშუალებებზე. მწარმოებელთა განმარტებით, ნატურალური რძის რეალიზაცია, უფრო შემოსავლიანი და მომგებიანია მათთვის, ვიდრე მისი გადამამუშავება და ყველის სახით რეალიზაცია. ასეთი მდგომარეობაა იმერეთისა და რაჭის უმეტეს მუნიციპალიტეტებში.

გამონაკლისს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტი(იმერეთის რეგიონი), სადაც ფერმერთა მცირე ჯგუფს შექმნილი აქვს კოოპერატივი, რომელიც საოჯახო მეურნეობებისაგან და ფერმერებისაგან რძეს იბარებს და აწარმოებს სულგუნს. წარმოებული ყველის დიდი ნაწილი ამჟამად იყიდება დასავლეთ საქართველოში, თუმცა ეტაპობრივად ახდენენ რეალიზაციის არეალის გაფართოებას აღმოსავლეთ საქართველოშიც. რძის ტრანსპორტირებისათვის კოოპერატივს გააჩნია საშუალო ტვირთამწეობის ავტომობილი, რძის მცირე რეზერვუარები და რძის ხარისხის შესამოწმებელი მობილური მოწყობილობა. რძის შეკრება ხდება დღეში ორჯერ - დილით და საღამოს, მწარმოებლებთან შეთანხმებით წინასწარ განსაზღვრულ დროს.

რეგიონში წარმოებული ყველის საშუალოდ 65% გაიტანება ბაზარზე სარეალიზაციოდ, ხოლო დანარჩენი კი გამოიყენება საოჯახო მეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის. ამასთან, მწარმოებელთა ნაწილი უშუალოდ თავად ახდენს ყველის რეალიზაციას ბაზარზე, ნაწილი კი პროდუქციას დისტრიბუტორებს აბარებს, როგორც ადგილზე (ფერმის ტერიტორიაზე), ასევე რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო ბაზრების ტერიტორიაზე.

სქემა 1. ღირებულებათა ჯაჭვის რუკა იმერეთის რეგიონისათვის



რეგიონში არსებობს რძის პროდუქტების მწარმოებელი სამი მცირე საწარმო (ქუთაისში, სამტრედიისში და თერჯოლაში), რომლებიც აწარმოებენ არაყანს, მაწონს, ხაჭოს, კარაქს, ნაყინს და ა.შ. თუმცა, აღსანიშნავია რომ არ იყენებენ ნატურალურ რძეს, რაც ჩანაცვლებულია რძის ფხვნილით. ეს უკანსკნელი ქვეყნის შიგნით არ იწარმოება და სრულად იმპორტირებულია, ძირითადად ბელარუსიდან. მწარმოებელთა განცხადებით რძის ფხვნილის გამოყენება პროდუქციას მნიშვნელოვნად აიაფებს, ამავე დროს მათთვის ყოველთვის მისაღებია რძის ფხვნილის ხარისხი, ხოლო ხარისხიანი ნატურალური რძის საკმარისი ოდენობით შეგროვება პრობლემურია. აღნიშნული საწარმოების მთლიანი წლიური ბრუნვა დაახლოებით 2,5-3 მილიონი ლარია და პროდუქცია მხოლოდ იმერეთის რეგიონში იყიდება. მათ აქვთ დისტრიბუციის საკუთარი სისტემები, რომელთა საშუალებით აწვდიან პროდუქციას საცალო ქსელს. რეგიონში არ იწარმოება პასტერიზებული რძე და ის სრულად არის შემოტანილი დედაქალაქიდან ან/და სხვადასხვა რეგიონებიდან, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან.

რძის მიღებისათვის ადგილობრივი ფერმერები იძენენ ან საკუთარ მეურნეობაში გამრავლების გზით იღებენ დეკეულებს, მათი შესყიდვის საშუალო ფასი არის 300–დან (1 თვის) 800 ლარამდე (1 წლის) და დაახლოებით 3 წლის ასაკში იძლევიან ნამატს – ხბოს და იწყებენ წველადაობას. ერთი ზრდასრული ფურის კვების წლიური ხარჯი საშუალოდ არის 500 ლარი, რასაც ემატება მოვლისა და მკურნალობის ხარჯი. საშუალოდ წელიწადში 1 სულ პირუტყვს ჭირდება 20 ლარის მედიკამენტები. ხოლო პირუტყვის მომვლელთა საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 20 ლარს ყოველ 1 სულ საქონელზე..

2013 წლის მონაცემებით, წლის განმავლობაში 1 ფური იმერეთის რეგიონში საშუალოდ იძლევა 1507ლიტრ რძეს, რომლის საშუალო გასაყიდი ფასი არის 0,7 ლარი. კვლევამ აჩვენა, რომ მიღებული რძის დაახლოებით 85% გამოიყენება ყველის საწარმოებლად და წარმოებული ყველის დაახლოებით 65% გაიტანება ბაზარზე, ხოლო დანარჩენი გათვალისწინებულია საკუთარი მოხმარებისათვის.

4.4 პროდუქციის ფასები

მერძვეობის მიმართულების ფერმეები ძირითადად ახდენენ ორი სახის პროდუქტის რალიზაციას: რძეს და ყველს. ორივე პროდუქტის სარეალიზაციო ფასები მნიშვნელოვნად იცვლება წლის განმავლობაში.

რძის საშუალო წლიური გასაყიდი ფასი შეადგენს 70 თეთრს ლიტრზე. მაქსიმალური ფასი – 1,2 ლარი ფიქსირდება დეკემბრის და იანვრის თვეებში, როდესაც წველადაობა ყველაზე ნაკლებია. მინიმალური ფასი არის 50 თეთრი, რომელიც ფიქსირდება მაისი, ივნისი, ივლისის თვეებში. აღნიშნულ თვეებში წველადაობა ყველაზე მეტია, რაც განპირობებულია სამოვრებზე უხვი და ნოყიერი ბალახის არსებობით. აგვისტოს თვიდან ბალახი უკვე იწყებს ხმობას და შესაბამისად მცირდება საკვები ბაზა. თუმცა ზამთრის თვეებში რძის ცხიმთანობა გაცილებით მაღალია ვიდრე ზაფხულში და შესაბამისად, 1 კგ ყველის საწარმოებლად თუ ზამთარში 6-7 ლიტრი რძე არის საკმარისი, ზაფხულში – 8-9 ლიტრს საჭიროებს. საშუალო ზომის მწარმოებლები მიღებული რძის უდიდეს ნაწილს აბარებენ რძის პროდუქტების მწარმოებელ საწარმოებს, ხოლო უმნიშვნელო ნაწილს ყიდნიან ბაზარზე უშუალო მომხმარებლებზე (ამ შემთხვევაში სარეალიზაციო ფასი, როგორც წესი 15-20 თეთრით მეტია).




სურათი 4. იმერეთში წარმოებული სულგუნი

რძის მიღების რაოდენობასა და შესაბამისად ფასზე უშუალოდ არის დამოკიდებული ყველის ფასი. ისიც ასევე მერყეობს სეზონურად და იზრდება შემოდგომა ზამთრის პერიოდში და პირიქით მცირდება გაზაფხული-ზაფხულის განმავლობაში. მაქსიმალური საცალო ფასი შეადგენს 7-8 ლარს კილოგრამზე, ხოლო მინიმალური ფასი 4-5 ლარია. ყველის ფასთან

უმუშალო კავშირში არის ასევე სულგუნის ფასი, რომელიც მიიღება ყველის შემდგომი გადამამუშავების შედეგად. 1 კგ ყველისაგან მიიღება დაახლოებით 800 გრ. სულგუნი, რომლის საშუალო საბითუმო გასაყიდი ფასი არის 10 ლარი და ის დამოკიდებულია წელიწადის დროზე ისევე როგორც თავად ყველის ფასი. შემდგომ ეტაპზე ცალკეულ შემთხვევებში ახდენენ სულგუნის შებოლვას რომლის ფასი 1-1,5 ლარით აღემატება ჩვეულებრივს.

წარმოებული ყველი და სულგუნი ძირითადად მიეწოდება ადგილობრივ ბაზრებზე მოქმედ გადამამუშავებლებს, ან სავაჭრო ობიექტებს, რომელთა საშუალო ფასნამატი ყველზე შეადგენს 0,5-1 ლარს, ხოლო სულგუნზე 1-1,5 ლარს. კვლევამ გამოავლინა, რომ ღირებულებათ ჯაჭვის პირველი რგოლისთვის – ფერემერისთვის 1 ლიტრა რძის უმაღლესი გასაყიდი ფასი 1,2 ლარს არ აღემატება. ხოლო საქსტატის მონაცემების მიხედვით ამ ჯაჭვის ბოლო რგოლი – საბოლოო მომხმარებელი 2013წელს რძეში საშუალოდ 2,29 ლარს იხდიდა .

დიაგრამა 7. რძის საშუალო საბაზრო ფასი 2013 წელს. ¹⁰



5 კონკურენტუნარიანობის აღმასის მოდელი: რესურსების პირობები; მოთხოვნის პირობები; მონათესევე სექტორები; კონტექსტი

5.1 წარმოებისთვის საჭირო რესურსების პირობები

რძის და რძის პროდუქციის წარმოებისათვის ფერმერს აუცილებლად სჭირდება ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი კომპონენტები, კერძოდ:

კვეთი. ყველისა და სულგუნის საწარმოებლად იყენებენ კვეთს (ნივთიერება რომელიც ემატება რძეს ყველის მისაღებად). 1 პაკეტი კვეთი (250 გრ) ღირს 11 ლარი, რომელიც მოიხმარება 250 ლიტრი რძისათვის.

საკვები. პირუტყვის კვების რაციონის დაცვა აუცილებელია როგორც მისი ნორმალური განვითარებისათვის, ისე სათანადო რაოდენობის რძის მიღებისათვის. საოჯახო მეურნეობები, რომლებიც რამდენიმე ერთეულ პირუტყვს ფლობენ, ზამთარში ძირითადად

¹⁰ National statistics office of Georgia, <http://geostat.ge>

იყენებენ საკუთარ მეურნეობებში მოწეულ სიმინდს, ჩალასა და თივას, ხოლო ზაფხულში – ბალახს. შედარებით მსხვილი ფერმები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები კი საჭირო საკვებს (ხორბალი, სიმინდი, თივა) უმეტეს შემთხვევებში იძენენ აღმოსავლეთ საქართველოში. საოჯახო მეურნეობები, როგორც წესი, ვერ ახერხებენ საკვები რაციონის დაცვას, შედეგად კი მათი პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია. მაღალპროდუქტიული ჯიშები გაცილებით მგრძობიარენი არიან საკვების რაციონის დაუცველობის მიმართ და თითოეული ჯიშისათვის რაციონიც განსხვავებულია.

საკვები პროდუქტების შესყიდვის საშუალო წლიური ფასები არის: ხორბალი - 0,65 ლარი 1 კილოგრამი, თივა - 220 ლარი 1 ტონა, სიმინდი - 0,5 ლარი 1 კილოგრამი (ზოგ ფერმერს სიმინდი მოყავს საკუთარ მეურნეობაში და მისი თვითღირებულება არის 0,22 ლარი 1 კილოგრამზე).

ასევე კვლევის შედეგად დაგინდა რომ საშუალოდ 1 ზრდასრული საქონლისათვის წლის განმავლობაში საშუალოდ საჭიროა : თივა – 1,7 ტონა; მარცვლეული – 270 კგ; მარილი – 7 კგ; ნამჯა – 18 კგ; თუ დავუშვებთ, რომ ყველა ამ კომპონენტს ფერმერი ყიდულობს, მაშინ მისი საშუალო ხარჯი ერთი ზრდასრული საქონლის გამოკვებაზე საშუალოდ წელიწადში 400 ლარი (200 ა.შ. დოარი) იქნება.

მედიკამენტები. ცხოველისათვის საჭირო მედიკამენტების შექმნა ხდება ქუთაისის და თბილისის ვეტ აფთიაქებში, ასევე არის რამოდენიმე ვეტ.მალაზია მუნიციპალიტეტებშიც. რომელებსაც საკმაოდ შელუდული ასორტიმენტი აქვთ პროდუქციის საცალო ფასი და ხარისხი ყველა აფთიაქში მეტ-ნაკლებად მსგავსია. საშუალო და მსხვილ მწარმოებლებს როგორც წესი ყავთ საკუთარი ვეტ-ექიმი, ხოლო წვრილი მწარმოებლები საჭირო მომსახურებებს იღებენ ან ვეტ აფთიაქებიდან ან კიდევ მსხვილი მწარმოებლების ვეტ ექიმებისაგან. მედიკამენტები არის უცხოური წარმოების და მათი იმპორტი ხდება სხვადასხვა ქვეყნებიდან, კერძოდ რუსეთიდან, უკრაინიდან, ასევე ჰოლანდიიდან. თავის მხრივ, ადგილობრივი ვეტ-აფთიაქები წამლებს საბითუმოდ ყიდულობენ თბილისში უშუალოდ იმპორტიორებისაგან. მოთხოვნა მედიკამენტებზე ყველაზე მაღალია გაზაფხულსა და ზაფხულში, რადგან ამ დროს უფრო გავრცელებულია დაავადებები. ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტები არის: ალბენდაზოლი და გიტოქსი – პარაზიტების საწინააღმდეგო წამლები, ღირებულება: 1 ტაბლეტი - 1 ლარი, დოზა: 1 ტაბლეტი ყოველ 100 კგ წონაზე. ძირითადად გამოიყენება გაზაფხულზე და შემოდგომაზე; ლიმოქსინი – ანტიბიოტიკი, ღირს 5 ლარი 1 ფლაკონი, ჭირდება 1 ფლაკონი ყოველ 100 კგ წონაზე. საშუალოდ წელიწადში 1 სულ პირუტყვს ჭირდება 20 ლარის მედიკამენტები.

მედიკამენტების ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ დიდია, ვინაიდან მხოლოდ ქუთაისში არის 10-მდე ვეტ-მალაზია.

ხელოვნური განაყოფიერება. ცხოველების გამრავლებისას მათი ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით ხელოვნურ განაყოფიერებას იყენებენ მხოლოდ საშუალო და მსხვილი ფერმები, საოჯახო მეურნეობები კი როგორც წესი ბუნებრივი განაყოფიერების გზით ახდენენ ცხოველის გამრავლებას შედეგად ვერ ხდება ჯიშის გაუმჯობესება, რაც პირუტყვის დაბალპროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ერთერთი მიზეზია. ხელოვნური

განაყოფიერებისათვის საჭირო გენეტიკური მასალა, დანამატები, აღჭურვილობები და აქსესუარები ქვეყანაში ძირითადად შემოიტანება ევროპიდან. ერთი ხელოვნური განაყოფიერების ღირებულება საშუალოდ არის 50-60 ლარი.

საწველი და დამამუშავებელი აპარატები. გამოიყენება წველის ორი ხერხი, ხელით და მანქანით. ხელით წველის უპირატესობა ცურისადმი ინდივიდუალური, სათუთი მიდგომა და რძის გაცემის უფრო მეტად სტიმულირებაა, ვიდრე მანქანით წველის დროს. მანქანით წველა ამჟამად საყოველთაოდ არის გავრცელებული, რადგან ხელით წველასთან შედარებით ის 3-5 ჯერ ზრდის მწველავის შრომის ნაყოფიერებას. ისეთი ფერმერული მეურნეობები, რომლებიც წარმოების ინტენსიურ ტექნოლოგიებს იყენებენ საქართველოში სულ რამდენიმეა. ეკონომიკური თვალსაზრისით, 30-40 ფურისთვის გამართლებულია მანქანური წველის დანერგვა. საწველი აპარატები არის ორი ტიპის: სტაციონარული და მობილური. ამ უკანასკნელის უპირატესობა არის ის, რომ რამდენიმე ძროხისთვის იაფი და ეკონომიურია, ერთი მობილური აპარატით შესაძლებელია მოიწველოს 10 სულამდე. მაგრამ, როცა მოსაწველი ფურების რაოდენობა მეტია, საჭიროა დამატებითი აპარატები და შესაბამისად ოპერატორებიც. რაც შეეხება სტაციონარულს, მცირე რაოდენობის საქონელისთვის არარენტაბელურია მისი გამოყენება სიძვირის გამო. სტაციონარული აპარატის შემთხვევაში ერთი ოპერატორი საკმარისია 100 და მეტი ფურის მოწველისათვის. ყველაზე მარტივი და შესაბამისად იაფი საწველი აპარატი, რომელიც შეიძლება შეძენილი იქნეს ადგილობრივ ბაზარზე დაახლოებით 1200 ლარი ღირს. მიღებული რძის ცხიმინობის, წყლის შემცველობის და სიმკვრივის გაზომვისათვის საჭიროა სპეციალური აპარატი, რომელიც დაახლოებით 1500 ლარი ღირს.

სამუშაო ძალა. საოჯახო მეურნეობებში, რომლებიც 1-დან 10-მდე სულ პირუტყვს ფლობენ, მეურნეობას თავად ოჯახის წევრები უძღვებიან და დაქირავებულ შრომას არ იყენებენ. საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები კი ძირითადად დაქირავებულ შრომას იყენებენ იმერეთისა და რაჭის რეგიონში არსებული ფერმერული მეურნეობების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პირუტყვის მომვლელთა საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 20 ლარს ყოველ 1 სულ საქონელზე.


საწარმოო ხაზი. თანამედროვე სტანდარტებით რძის დამამუშავებისა და მისგან სხვადასხვა პროდუქტების მიღებისათვის (ყველი, სულგუნი, პასტერიზებული რძე, ნაღული და ა.შ.) საჭიროა გამოყენებული იქნეს მაღალტექნოლოგიური კომპლექსური საწარმოო ხაზი, რომლის მოწყობის მიახლოებითი ღირებულება დღე-ღამეში 15 ტონიანი წარმადობისათვის არის 200 ათასი აშშ დოლარი. ამ დროისათვის მსგავსი საწარმოო ხაზი რეგიონში არც ერთ კომპანიას არ გააჩნია მისი სიძვირის და მაღალი წარმადობის გამო (წარმოებული რძის მოცულობის სიმცირის გამო).

ყველის შენახვა. ყველის წარმოებისა და შენახვისათვის გამოიყენება უჟანგავი ლითონისაგან დამზადებული და ემალირებული ქვაბები. ყველის შენახვა რეალიზაციამდე ხდება სპეციალურად მომზადებულ მარილიან წყალში ან მაცივარში (მცირე საოჯახო მეურნეობებში იყენებენ საოჯახო მაცივრებს) შეფუთვის გარეშე.

5.2 მოთხოვნა

საქსტატის მონაცემებით 2013 წელს საქართველოში საკვებად რძის წლიური მოხმარება შეადგენს 642 ათასი ტონას, რომელთაგან მხოლოდ 10% არის იმპორტირებული. იმპორტირებული პროდუქციის დიდი ნაწილი კი მოდის არა უშუალოდ რძეზე არამედ მისი გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქციაზე. მაღალი ფასის გამო იმპორტირებული პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობა ქვეყანაში დიდი არ არის, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებელი შესაძლოა გაიზარდოს, თუ არ მოხდება ადგილობრივი წარმოების სათანადო განვითარება და დივერსიფიკაცია. ამას განაპირობებს ისიც, რომ ქვეყანაში რძის გადამუშავება ძირითადად ხდება კუსტარულად და დამუშავების პროცესში საექვოა სრულად იყოს დაცული ტექნოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ამასთან, მსხვილი საწარმოებიც ვერ უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხისა და დიდი ასორტიმენტის რძის პროდუქტების გამოშვებას. ოფიციალური მონაცემების თანახმად მცირედით მაგრამ მაინც იზრდება იმპორტის წილი მოხმარებულ პროდუქციაში.

დიაგრამა 8. საქართველოში რძის მოხმარების ტენდენცია – იმპორტირებული და ადგილობრივად წარმოებული რძის თანაფარდობა¹¹



რეგიონში წარმოებული რძე და მისგან დამზადებული პროდუქტები სრულად იყიდება ქვეყნის შიგნით, უმეტესწილად რეგიონში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე და სასურსათო მაღაზიებში. ამასთან, წვრილი მწარმოებლები როგორც წესი, პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე, ხოლო საშუალო და მსხვილი მწარმოებლები ასევე ორიენტირებული არიან შედარებით უფრო მსხვილ სავაჭრო ქსელებზე და სხვადასხვა იურიდიულ პირებზე (საბავშვო ბაღები, არმია და ა.შ.).

საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოებულ რძესა და ყველს ამ ეტაპზე რეალურად არ გააჩნია ქსელურ სუპერმარკეტებში გაყიდვების და მითუმეტეს ესპორტის მოტენციალი. მათ მიერ

¹¹ http://pc-axis.geostat.ge/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX

მიღებული პროდუქტი არ შეესაბამება ქვეყნის შიგნით დაწესებულ სტანდრტებს და საკანონმდებლო მოთხოვნებს იქნება ეს თვითონ წარმოების პროცესი თუ პროდუქციის უვნებლობის ნორმები. ასევე აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს საერთაშორისო დონის ლაბორატორიები, შეფუთვის შესაძლებლობები და ა.შ. საქართველოში რძის და რძის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებს 18-მდე საკანონმდებლო აქტი არეგულირებს. ისინი განსაზღვრავენ ვეტერინალურ ნორმებს, შეფუთვის, ტრანსპორტირების, ეტიკეტირების და სხვა დაკავშირებულ საკითხებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა ეს ნორმა ფაქტობრივად უგულველყოფილია ოჯახურ მეურნეობებში.

საქართველოს მოსახლეობა აქტიურად მოიხმარს რძეს და რძის პროდუქტებს. განაკუთრებულად მაღალია მოთხოვნა ყველზე. აღსანიშნავია რომ რძის მაღალი მოხმარების მაჩვენებლით გამოირჩევიან ბავშვიანი ოჯახები. სხვა რძის პროდუქტების კუთხით საქართველოს ბაზარზე შედარებით მაღალი მოთხოვნით გამოირჩევა არაქანი ხაჭო და კარაქი.

5.3 მონათესავე სექტორები

საშუალო და მსხვილი მწარმოებლები ძირითადად დამოკიდებულნი არიან მესაქონლეობიდან მიღებულ შემოსავლებზე, თუმცა ზოგჯერ დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით ახორციელებენ ასევე დამატებით საქმიანობასაც. კერძოდ, მათ უმრავლესობას აქვს საკუთარი წისქვილი, რომელსაც ისინი ერთის მხრივ იყენებენ საკუთარი საჭროებისათვის საკვების დასამზადებლად, ხოლო მეორეს მხრივ წვრილი ფერმერებისათვის მომსახურების გასაწევად, თუმცა ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში საკმაოდ დაბალია.

ფერმერებს ნაკლებად აქვთ დივერსიფიკაციის შესაძლებლობა, რამდენადაც ეს დამოკიდებულია მათთვის მსხვილ საინვეტიციო ხარჯების გაწევაზე. ამასთან მნიშვნელოვან მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ მარცვულის და თივის წარმოება, როგორც საკუთარი მოხმარებისთვის, ასევე სხვა ფერმებზე მიყიდვისთვის.

თუმცა რეგიონში არსებული მცირე ფერმერები ვერ ახერხებენ ახალი შესაძლებლობების ინდეტიფიცირებას და შესაბამისად მათ გამოყენებას.

5.4 კონკურენცია

რძისა და რძის პროდუქტების ბაზარზე ქვეყანაში და შესაბამისად რეგიონშიც კონკურენცია საკმაოდ მძაფრია. თუმცა კონკურენციულ ბრძოლას ძირითადად ადგილი აქვს ადგილობრივ მწარმოებლებს შორის და არა ადგილობრივ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს შორის, ვინაიდან ამ უკანასკნელთა წილი ბაზარზე მცირეა, პროდუქციის სიძვირის გამო.

ადგილობრივ მწარმოებლებს შორის კონკურენცია მნიშვნელოვნად განპირობებს საბაზრო ფასებს. ამ მხრივ უპირატესი მდგომარეობა აქვთ წვრილ საოჯახო მეურნეობებს, რომლებიც როგორც წესი არ იყენებენ დაქირავებულ შრომას და პრაქტიკულად არ იხდიან არანაირ გადასახადებს (მიწა, ქონება, საშემოსავლო და ა.შ.), ამასთან, პირუტყვის გამოსაკვებად როგორც წესი იყენებენ საკუთარ მეურნეობაში მოწეულ სიმინდს, სოიოს, თივასა და ჩალას.

საშუალო და მსხვილი მწარმოებლები მიიჩნევენ, რომ წვრილი საოჯახო მეურნეობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პროდუქტის ფასზე და ხშირად გაუცნობიერებლად დემპინგური (თვითღირებულებაზე დაბალი) ფასებით გამოდიან ბაზარზე, რასაც იმით ხსნიან, რომ გლეხური მეურნეობები, როგორც წესი სწორად ვერ ახერხებენ თავიანთი პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციას. ძირითადად იმის გამო, რომ ისინი საკუთარ შრომას არ განიხილავენ როგორც წარმოების პროცესში გაწეულ ხარჯს. თუმცა, მსხვილი მწარმოებლები მათი ამ უპირატესობის დაბალანსებას მასშტაბის ეფექტის ხარჯზე ცდილობენ და შედეგად დღესდღეობით ბაზარზე მეტნაკლებად წარმატებით მოქმედებენ ყველა ზომის მეწარმეები. გარკვეულ კონკურენციას ბაზარზე ქმნის რძის შემცველი ფხვნილები, თუმცა მათი დახმარებით წარმოებული პროდუქციის ხარისხი მაღალი არ არის და ვერ უწევს ნატურალური რძით დამზადებულ პროდუქტს კონკურენციას.

რეგიონში არსებულ რძისა და ყველის არც ერთ მწარმოებელს რაიმე ჩამოყალიბებული მარკეტინგული სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა არ გააჩნია და პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ხდება ფერმერთა პირადი რეკუტაციისა და სანდოობის ხარჯზე, არ არსებობს სარეკლამო ბიუჯეტი და ფერმერების უმეტესობა ვერც ხედავს ამის საჭიროებას, რადგან ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის ცნობადობა ისედაც მაღალია და ხარისხი მომხმარებლისთვის მისაღებია.

6 სტრატეგიული მწარმოებლურობა და ხარისხი

6.1 მერძეეობა - კვების უსაფრთხოებასთან და ხარისხთან მიმართებაში

რძე შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო არაერთ ნივთიერებას, ადვილად შესათვისებელი ფორმით. ძროხის რძის საშუალო შემადგენილობა ასეთია: ცილები 3,3%, ცხიმი 3,8%, რძის შაქარი ლაქტოზა 4,7%, ნაცარი 0,7% და წყალი 87,5%. იგი შეიცავს აგრეთვე ვიტამინებს და ფერმენტებს.

სოფლის მეურნეობის მოცემული დარგი ქვეყანაში არ საჭიროებს ლიცენზირება-სერტიფიცირებას. კვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს რძისა და რძის პროდუქტების ხარისხის კონტროლის ეფექტური და ქმედითი მექანიზმები, რომელიც ბაზარზე მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტის დაშვებას უზრუნველყოფს. ამით ზარალდება ის მიმწოდებელი, რომელიც მაღალხარისხიან და შესაბამისად მაღალფასიანი პროდუქციას აწვდის ბაზარს. ფორმალურად რძის ხარისხისა და უვნებლობის კონტროლს ახორციელებს სარქთველოს სურსათის უვნებლობის სააგენტო. აღნიშნული სააგენტოს მუშაობა მნიშვნელოვნად გააქტიურდა ბოლო 2013-2014 წლებში. ოფიციალური მონაცემებით 2014 წელს ქვეყნის მასშტაბით მათ შეამოწმეს – 142 რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო და 35 რძის ჩამზარებელი პუნქტი. მათგან 400–დან 1000 – ლარამდე ჯარიმები გამოუწერეს 21 საწარმოს და 3 პუნქტს. სააგენტო ამოწმებს პროდუქციის წარმოების და შენახვის ვეტერინარულ, სანიტარულ–ჰიგიენურ ნორმებს. თუმცა, მათი რეაგირება შემოიფარგლება ჯარიმის გამოწერით და ასევე სააგენტოს არ გააჩნია იურიდიული ფორმატი, რათა შეამოწმოს საოჯახო მეურნეობები.

ამასთან, მნიშვნელოვანია რომ დაბალია შესაბამის ლაბორატორიებზე ხემისაწვდომობა, რაც სურვილის შემთხვევაშიც კი მცირე ზომის საწარმოსთვის შეუძლებელს ხდის პროდუქტის ხარისხის კონტროლს.

მწარმოებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ხარისხის კონტროლის სისტემის არსებობა ბაზარზე აუცილებელია როგორც მიმწოდებელთა, ისე მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვისა და უსაფრთხოებისათვის. ისინი იმასაც აღიარებენ, რომ რძის პროდუქტების კუსტარული წარმოებისას ზოგადად სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ხშირად არ არის დაცული, თუმცა თავად ყოველთვის ცდილობენ შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას.

7 ექსპლუატაციური პროდუქტიულობა- დამუშავება, გადაადგილება, დაავადებები, ბიოლოგიური საფრთხეები

7.1 დამუშავება

ახლად მოწველილ რძეს გაფილტვრით ასუფთავებან, ამისათვის იყენებენ საწურს, რომელშიც ჩაფენილია რამოდენიმე შრედ დაკეცილი მარლა, ბამბა, ორმაგი ტილო, ან სხვა ქსოვილი. მექანიზირებულ ფერებში იყენებენ სპეციალურ აპარატებს.

ახლადმოწველილი რძე ბაქტერიოციდულია, ის შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ზღუდავენ მიკრობთა განვითარებას და ამცირებენ მათ რაოდენობას. ამ ნივთიერებათა აქტივობა ჩვეულებრივ ორ საათს გრძელდება, რის შემდეგაც მიკრობები სწრაფად მრავლდებიან და რძის ხარისხი უარესდება. ამიტომ მოწველის შემდეგ საჭიროა რძის სწრაფი გაციება +5 გარდუსამდე (ამიტომ რძე მოწველისთანავე სწრაფად უნდა გავაციოთ სპეციალურ მაცივარში, ყინულში ან ცივ წყალში), ან მისი თერმული დამუშავება. რძის პასტერიზაცია ხდება მისი გაცხელებით 72-76 გრადუსამდე 15-30 წამის განმავლობაში.

საოჯახო მეურნეობებში იმის გამო, რომ ისინი მცირე რაოდენობით რძეს აწარმოებენ, მისი სათანადო პირობებით დამუშავება ადგილზე ეკონომიკურად არამომგებიანია. ამავე მიზეზის გამო არ ხდება ტრანსპორტირება რძის მიმღებ-გადამამუშავებელ პუნქტებში. შესაბამისად, პრაქტიკულად ერთადერთი გამოსავალი საოჯახო პირობებში არის ყველის წარმოება, რომლის შენახვა გაცილებით მარტივია და ადგილობრივ ბაზარზეც მოთხოვნადია.

საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობების დიდი ნაწილი ასევე არ გამოირჩევა მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მხოლოდ რამდენიმე ფერმერული მეურნეობა ცდილობს თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას, თუმცა მათთანაც კი ეს პროცესი რთულად მიმდინარეობს დიდი კაპიტალდაზანდების საჭიროების გამო.

ძირითადი პროდუქტები რომლებიც რეგიონში მიიღება რძის დამუშავების შედეგად არის ყველი, სულგუნი და ასევე ნადული. წარმოებას უმეტეს შემთხვევაში აქვს კუსტარული ხასიათი და პროდუქცია განკუთვნილია მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისათვის.

7.2 ტრანსპორტირება და გადაადგილება

წვრილი მწარმოებლები, როგორც წესი, უშუალოდ აწვდიან საკუთარ პროდუქციას აგრარულ ბაზარზე არსებულ მოვაჭრეებს (გადამყიდველებს) საზოგადოებრივი ტრანსპორტის ან საკუთარი მსუბუქი არასპეციალური ავტომობილების გამოყენებით. ხოლო რაც შეეხება საშუალო და მსხვილ მწარმოებლებს, მათ როგორც წესი ყავთ სპეციალური ავტომობილები, როგორც რძისა და რძის პროდუქტების, ასევე პირუტყვის საკვების ტრანსპორტირებისათვის.

7.3 დაავადებები და ქიმიური საფრთხეები

ძირითადი საფრთხე არის სხვადასხვა სახის ეპიდემიის გავრცელება ცხოველებში, რომელიც იწვევენ მათ მასიურ დაცემას ან/და საკვებად გამოუსადეგარს ხდიან მათგან მიღებულ პროდუქტს - ხორცს და რძეს. ეპიდემიის თავიდან აცილებისათვის უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვა ფერმებში, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, ასევე აუცილებელი მედიკამენტების სისტემატიური გამოყენება და ა.შ.

კვლევამ აჩვენა, რომ მსხვილ მეწარმეებს, როგორც წესი, ყავთ საკუთარი ვეტერინარები, რომლებიც მუდმივად აკონტროლებენ ფერმებში არსებულ სიტუაციებს დაავადებათა წარმოქმნის პრევენციის მიზნით, ხოლო საშუალო და წვრილი ფერმერები ანალოგიურ მომსახურებას იღებენ ვეტ აფთიაქებისა და ინდივიდუალური ვეტერინარებისაგან.

დაავადებათა გავრცელების პრევენციის მიზნით, სახელმწიფოს მიერ ხორციელდება პროფილაქტიკური აცრები ჯილეხზე და თურქულზე, ასევე გამოკვლევები ბრუცელიოზზე. სხვა დაავადებებთან მიმართებაში კი ფერმერები თავად ახდენენ პირუტყვის დაცვას შესაბამისი აცრების გაკეთებით. საჭირო მედიკამენტები საშუალო და მსხვილ ფერმერებს ჩამოაქვთ თბილისიდან საბითუმო ფასად, რაც რამდენიმე ათეული სული პირუტყვის არსებობის შემთხვევაში ეკონომიკურად მომგებიანიც არის.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგადად ვეტერინარული მომსახურების დონე უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა, პრაქტიკულად არ არსებობს კვალიფიცირებული კადრები, არ ხდებდა არსებული სპეციალისტების სისტემური გადამზადება და ტრენინგი, სუსტადაა განვითარებული ახალი სპეციალისტების მომზადების სისტემა, თუმცა ბოლო წლებში გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. ამასთან, ბუნებისდაცვითი რეგულაციების გამო, მაღალმთიან რეგიონებში (ხარაგაული, რაჭა) ტყეებში გაიზარდა მტაცებელთა რაოდენობა, ძირითადად მგელი, რაც ასევე წარმოადგენს გარკვეულ რისკს როგორც პირუტყვის მოტაცების, ასევე მათი დაინფიცირების კუთხით.

8 მომარაგების ჯაჭვის მენეჯმენტი - პროდუქციის და ინფორმაციის მოძრაობა ჯაჭვში

წვრილი მწარმოებლები, როგორც წესი, საკუთარ პროდუქციას ადგილობრივ ბაზრებზე ყიდნიან თავად, ან გადამყიდველების მეშვეობით, უშუალო ზეპირი მოლაპარაკების საფუძველზე. გადამყიდველები იღებენ რამდენიმე დღის მარაგს, ათავსებენ ე.წ. დახლ-მაცივრებში პროდუქციის გაფუჭების თავიდან აცილების მიზნით.

საშუალო და მსხვილი მწარმოებლები გარდა ზემოთ აღნიშნული კატეგორიის მომხმარებლებისა ბიზნეს ურთიერთობას ამყარებენ ასევე სხვადასხვა ზომის სავაჭრო თუ საზ. კვების ობიექტებთან, რომელთაც სისტემატიურად აწვდიან პროდუქციის წინასწარ შეთანხმებულ რაოდენობას.

არსებობს ცალკეული, შედარებით მსხვილი მწარმოებლები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას (ძირითადად ყველსა და სულგუნს) გაიტანენ რეგიონის გარეთ, მაგალითად აჭარაში, სამეგრელოში, თბილისში და ა.შ. ამ შემთხვევაში, ისინი პროდუქციას ყიდნიან ბითუმად და ტრანსპორტირებისათვის ძირითადად იყენებენ საშუალო ტვირთაწეობის ავტომობილებს.

ფაქტობრივად პროდუქციაც და ინფორმაციაც ქსელში მოძრაობს არაფორმალურად. მოლაპარაკებები და ბიზნეს-გარიგებები ხდება სიტყვიერად, ყველანაირი დოკუმენტაციის გარეშე. პროდუქციის ხარისხის შეფასება კი საგემოვნო თვისებების მარტივი დეგუსტაციით ხდება და ემყარება ფერმერის რეპუტაციას.

9 ადამიანური რესურსები, სოციალური კაპიტალი და გაფართოების შესაძლებლობები

9.1 Know-how და ხელმისაწვდომობა გაფართოების სერვისებზე

მესაქონლეობის სფეროში რეგიონში ცოდნის გადაცემა ხდება ფერმერთა შორის პირადი ურთიერთობების შედეგად, ვინაიდან არ არსებობს რაიმე სახის ორგანიზებული სასწავლო-ტრენინგ კურსები, რომელიც სრულ საბაზისო განათლებას მისცემდა დაინტერესებულ პირს აღნიშნულ დარგში. დარგი იმთავითვე ტრანდიციულია რეგიონისათვის და ფერმერთა ცოდნა და პრაქტიკა ემყარება მამა-პაპისეურ მიდგომებს. ამასთან, მცირე ფერმერებში საკმაოდ დაბალია თანამადროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და დანერგვის მოტივაცია.

მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ იმართება ტრენინგები მესაქონლეობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე, მწარმოებელთა უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია მათ შესახებ. შესაბამისად, ისინი კონსულტაციებს როგორც წესი იღებენ უფრო გამოცდილი ფერმერებისაგან, ვეტერინარებისაგან ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ყველა მუნიციპალიტეტში შექმნილი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურებისაგან.

კვლევამ აჩვენა, რომ ფერმერთა გარკვეული ნაწილისათვის სურვილის მიუხედავად, ხელმისაწვდომი არ არის თანამედროვე გამოცდილება და ცოდნა როგორც მერძეეობის ინტენსიფიკაციის თანამედროვე მიდგომების, ასევე რძის დამუშავების ახალი ტექნოლოგიების შესახებ.

9.2 ფორმალური განათლების შესაძლებლობები

მესაქონლეობასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული დარგი არის ვეტერინარია, რომლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა უნივერსიტეტები (აგრარული უნივერსიტეტი – თბილისი, ახალციხის უნივერსიტეტი – ახალციხე) თავაზობს. ამასთან უშუალოდ იმერეთისა და რაჭა–ლეჩხუმის რეგიონებში არ არსებობს შესაბამისი სასწავლო დაწესებულებები.

თუმცა, თითქმის არაა ხელმისაწვდომი დარგთან დაკავშირებული პროფესიების/ხელოვნების პროფესიული განათლების/გადამზადების პროგრამები, მაგალითად: ფერმერობა; ყასაბი; რძის ტექნოლოგი; ყველის ტექნოლოგი და ა.შ.

9.3 სოციალური კაპიტალი და კოოპერირება

დარგში კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია, რეგიონში არსებული რამდენიმე კოოპერატივი არსებითად ვერ ქმნის ამინდს, თუმცა ინდივიდუალურ მწარმოებელთა შორის არსებობს არაფორმალური ურთიერთობები, რომლის ფარგლებშიც ისინი აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას საკვების, მედიკამენტების, მყიდველების და სხვა საკითხების შესახებ.

კვლევამ აჩვენა, რომ წვრილი საოჯახო მეურნეობების ინტერესი და ნდობა კოოპერატივში გაწევრიანებასთან დაკავშირებით არის დაბალი და ამის წარმატებული პრეცედენტებიც თითქმის არ არსებობს.

10 ინსტიტუციები და ბიზნეს-გარემო

10.1 ბიზნეს გარემო

რეგიონში მესაქონლეობის განვითარებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობების არსებობის მიუხედავად დარგის, როგორც ბიზნესის, განვითარების დონე საკმაოდ დაბალია. ძირითადად ადგილი აქვს ექსტენსიურ და არა ინტენსიურ განვითარებას.

რაც შეეხება რძისა და რძის პროდუქტების ბაზარზე არსებულ მდგომარეობას რეგიონში, ის ხასიათდება მიმწოდებელთა და მომხმარებელთა დიდი რაოდენობით, რომელთაგან ვერც ერთი მათგანი ცალკე აღებული ვერ ახდენს გავლენას სარეალიზაციო ფასზე და ის ყალიბდება მთლიანი მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედების შედეგად.

ბაზარზე არ არსებობს ან უკიდურესად სუსტია არაფორმალური ბარიერები, რადგან ბაზრის დინამიკა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მისაღები ხარისხის/ფასის შემთხვევაში ადვილად მოხდეს ბაზარზე პროდუქციის დამკვიდრება.

იმის გამო, რომ რეგიონში რძის და ყველის წარმოება და რეალიზაცია ფაქტიურად არაფორმალურად ხდება, საოჯახო მეურნეობები არ/ვერ ექცევიან საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოებში.

10.2 მთავრობის მხარდაჭერა

რაიმე კონკრეტული სახელმწიფო დარგობრივი პოლიტიკა ან პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება უშუალოდ მერძევეობის განვითარებისა და ხელშეწყობისკენ არ არსებობს. თუმცა გარკვეული ზოგადი ხასიათის პროგრამებს შეუძლიათ დადებითი როლის შესრულება, მათ შორისაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტები, ისეთები როგორებიცაა: აწარმოე საქართველოში; შეღავათიანი აგროკრედიტი; კოოპერატივების ხელშეწყობის პროექტი და ა.შ.

სახელმწიფოს შექმნილი აქვს ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრები ყველა მუნიციპალიტეტში, ასევე ყველა რეგიონში არსებობს მექანიზაციის ცენტრები.

კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი მიმართულება, რომელშიც რძისა და რძის პროდუქტების ადგილობრივი მწარმოებლები სახელმწიფოს მხარდაჭერას მოითხოვენ არის შემდეგი:

- შეღავათიან საკრედიტო რესურსებზე წვდომა. ფერმერულ მეურნეობებს პრაქტიკულად ძალიან ძნელად მიუწვდებათ ხელი საკრედიტო რესურსებზე, რომელიც გამოყენებული იქნებოდა მეურნეობის განვითარებისათვის, კერძოდ უფრო პროდუქტიული ჯიშის პირუტყვის შემოყვანისათვის, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისათვის, თანამედროვე აღჭურვილობის შექმნისათვის, საკვების წარმოების განვითარებისათვის და ა.შ.
- თანამედროვე განათლება. ფერმერები ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ინფორმაციის მიღებას დარგში არსებულ სიახლეებზე, ისეთი საკითხების შესახებ როგორიცაა საქონლის მოვლა, საკვები საშუალებები, მედიკამენტები, პროდუქციის წარმოება და ა.შ.
- ხელმისაწვდომობის ზრდა თანამედროვე ვეტერინალურ მომსახურებებზე. ვეტერინალური მომსახურების სათანადო დონე და მასზე ხელმისაწვდომობა პირდაპირ კავშირშია ისეთი საკითხების მოგვარებასთან, როგორებიცაა: დავადებების პრევენცია; ჯიშობრივი გაუმჯობესება და შესაბამისად პროდუქტიულობის ზრდა.

11 დასკვნები და რეკომენდაციები

11.1 SWOT

<p>S</p> <ul style="list-style-type: none"> • ნატურალური წარმოება • მესაქონლეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია • ალპური სამოვრების არსებობა (რაჭა) 	<p>W</p> <ul style="list-style-type: none"> • დაბალი პროდუქტიულობა და მაღალი თვითღირებულება • თანამედროვე აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა • საკრედიტო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა • მენეჯმენტის გამოუცდელობა და დაბალი კვალიფიკაცია
<p>O</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული ადგილობრივი წარმოების გასავითარებლად • მსოფლიოში გავრცელებული მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვა • კოოპერაციის განვითარების შესაძლებლობა დარგში 	<p>T</p> <ul style="list-style-type: none"> • რძის შემცველი ფხვნილების გამოყენება რძის პროდუქტების წარმოებისას • ეპიდემიის გავრცელების რისკი

11.2 რძის და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესების პოტენციალი.

1. ფერმერული მეურნეობების გამსხვილება. კვლევამ აჩვენა, რომ მცირე ზომის მეურნეობები ნაკლებად მომგებიანი არის ვიდრე შედარებით მსხვილი მეურნეობები, თუმცა მიუხედავად ამისა, მეურნეობების უმეტესობა, დაახლოებით 90% სწორედ მცირე ზომის (10 ძროხამდე) არის; გამსხვილების შედეგად გაიზრდება დივერსიფიკაციის შესაძლებლობაც.

2. ხელოვნური საკვებწარმოების პრაქტიკის განვითარება და დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში. ცხოველის სრულყოფილი კვება დიდად განაპირობებს მის პროდუქტიულობას, ამიტომ აუცილებელია იმ დარგების განვითარება, რომელიც საკვებით ამარაგებს მეცხოველეობას;

3. ადგილობრივ პირობებთან შესაბამისი, მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვა. არსებული პირუტყვი ხასიათდება უაღრესად დაბალი პროდუქტიულობით, ამიტომ აუცილებელია ქვეყანაში სანაშენე მეურნეობების შექმნა, საიდანაც ფერმერებს შეეძლებათ პროდუქტიული საქონლის მიღება; ამასთან ფართოდ უნდა დაინერგოს და გაიზარდოს ხელოვნური განაყოფიერების სერვისებზე ხელმისაწვდომობა. შედეგად, მცირე ფერმერებს მიეცემათ შესაძლებლობა გაამჯობესონ საკუთარი პირუტყვი და მიიღონ ადგილობრივ გარემოზე ადაპტირებული ჯიში.

4. კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ვეტერინარული მომსახურების ხარისხის ამაღლებას და ვეტერინარული მომსახურებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. ამისათვის აუცილებელია ერთის

მხრივ კვალიფიციურ ვეტერინართა არსებობა და მეორეს მხრივ, ხარისხიანი სამკურნალო საშუალებების (მედიკამენტები) შემოტანის უზურუნველყოფა.

12 ბიბლიოგრაფია

1. კავკასიის გენეტიკა, სარძევე მიმართულების ჯიშები
http://www.caucasusgenetics.ge/index.php?option=com_content&view=article&id=7&Itemid=10&lang=ka;
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რძის წარმოების მოცულობა, რძის პროდუქტების სასურსათო მოხმარება
http://geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo;
3. რ. ანდლულაძე, „პრიორიტეტული დარგები აგრარულ სექტორში“ (ქურ. „კვალი“ 1998წ.)
4. ე. ხარაიშვილი, „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“, 2011;
5. სურსათის ეროვნული სააგენტო; ინსპექტირების შედეგები; <http://nfa.gov.ge>
6. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები: <http://moa.gov.ge>
7. სურსათის უვნებლობის სახლმძღვანელო რძის სექტორისათვის, 2011, Mercy Corps Georgia
8. ევროკავშირში რძის წარმოების ანგარიშები: <http://www.dairyco.org.uk/market-information/milk-prices-contracts/farmgate-prices/eu-farmgate-milk-prices;>
<http://www.dairyco.org.uk/market-information/milk-prices-contracts/farmgate-prices/eu-farmgate-milk-prices/#.VRVbnPyUcjY>